

# მინაშეს საქონები.

თბილის-კიბირული გაზეთი

№ 16.

ვასი ერთი შაური

დღიური ვასი 4 ვას.

წელიწადი მეტეთ.

თბილი, 29 აპრილი 1912 წელი

კონკურსი:	1	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	2
სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	2	კონკურსი:	1
სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	1	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	2
კონკურსი:	2	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	1
კონკურსი:	1	სამართლებრივი მუნიციპალიტეტი:	2

კონკურსი: 1. საჯარო მუნიციპალიტეტი — რ. საჯარო მუნიციპალიტეტი; 2. სამართლებრივი მუნიციპალიტეტი — რ. სამართლებრივი მუნიციპალიტეტი; 3. მარა ჭ. ჭ. კურილის გამო — რეს-სა; 4) მარა ჭ. ჭ. კურილის გამო — რეს-სა; 5) სამინისტრო შეოლები თუ საკულტურო — ცისკიდელისა; 6) ხმა სამრევლო შეოლებიდან — მასწ-ლი მ. ის-სა; 7) საიმერო ნაშენები მდ. ვ. მაჭარაშვილისა; 8) ჩვენი სამღვდელოების ცხოვრებიდან — სოფლის მღვლისა; 9) რას გვწერენ? — ჩ. ა) სადგური სუფსა, ბ) ი. სალხინოვან (სუნა, მაზრა) — ქარანტენისა; 10) გორგი სააკადის სურათის წინ — სორტელი სტუმრისა; 11) მაზრაპეტის სნეულება (რუსულით) — არქიმ. ნესტორისა; 12) მაღლობის გამოცხადება — მღვ. ვლადიმერ მაჭარაშვილისა; 13) ფშვ-ხეცეტრეთის სალოცავები და ცატა რამ მათ და მათი მღლოცველების შესახებ — მღვ. ნ. ბაკურაძისა.

შინაარსი: 1) ქუთაისი 29 აპრილი; 2) თამარ მეტე (ლექსი) — რ. საჯარო მუნიციპალიტეტი; 3) მე მანიკ არ მჯერა! — ხელისა; 4) მარა ჭ. ჭ. კურილის გამო — რეს-სა; 5) სამინისტრო შეოლები თუ საკულტურო — ცისკიდელისა; 6) ხმა სამრევლო შეოლებიდან — მასწ-ლი მ. ის-სა; 7) საიმერო ნაშენები მდ. ვ. მაჭარაშვილისა; 8) ჩვენი სამღვდელოების ცხოვრებიდან — სოფლის მღვლისა; 9) რას გვწერენ? — ჩ. ა) სადგური სუფსა, ბ) ი. სალხინოვან (სუნა, მაზრა) — ქარანტენისა; 10) გორგი სააკადის სურათის წინ — სორტელი სტუმრისა; 11) მაზრაპეტის სნეულება (რუსულით) — არქიმ. ნესტორისა; 12) მაღლობის გამოცხადება — მღვ. ვლადიმერ მაჭარაშვილისა; 13) ფშვ-ხეცეტრეთის სალოცავები და ცატა რამ მათ და მათი მღლოცველების შესახებ — მღვ. ნ. ბაკურაძისა.

კუთაისი 29 აპრილი.

თამარის გადაცვალების შეიდასი წლის იუნილეს ვეპირებოდით და ამ დღემ სულ უცერული უნდა ჩიაროს. ვერ მოვახერხეთ ერთი უცრალო წიგნაკით, რა არის, იგვეწერა ამ შევთა მზის ცხოვრება და ხალხისთვის უფასოთ დაგვერიგებია, — იმ ხალხისთვის, რომელმაც ამ-დენი ლეგენდები და თქმულებები შეადგინა თავის სიყვარელ ქილბატონზე, იმ ხალხისთვის, რომელსაც ცოცხლით ჰყავს წარმოდგენილი თვეს ძეირთასი დელოფალი და ან მოელის მის მაღავ ილდომის და საქართველოს ბედის ჩალ-ხის კვლავ წაღმა დატრიალების. საჭირო კი იყო და ჩვენ კუბადად ვგრძნობდით ამ საჭიროების და ამიტ ამაც ბევრ მცოდნედა გამოჩენილ პირებს ვსთავეთ შეეღგინათ ასეთი რამ და დაგვირდით ჩვენი ხარჯით გამოცემის, მაგრამ არ გველორ-

სა ჩვენი სურვილის განხორციელება და ვსწუ-  
ხვართ, რომ ვერაფრით იღვნიშნეთ ეს ჩვენთვის,  
ქართველ ქრისტიანეთთვის, ორნაირად სათა-  
ყვანებელი, საღიღებელი დღე. მაგიტრად აღთ-  
ქმას ვდებო წინაშე წმინდა მეფის თამარის სა-  
ხელისა, რომ მის სანატრელ წმიდა ღვთის სა-  
თნო ცხოვრებას აღვწერთ და გავაცნობთ ქარ-  
თველ ხალხს მის ყოფილ ქვეყნიურ და დღეს  
ზეციურ მფარველს და მეოხს წინაშე ყოვ-  
ლიასანატრელისა ქალწულისა.

## თამარ მეფე.

(700 წლის შესრულების გამო).

მეფეთა მეფე დიადი,  
მნათობი, სწორი თეით მზისა;  
თეით პოეზია, სრულება,  
თეით მეფე პოეზისა,

თეით სიამაყე შვერების,  
სრულება სათნობისა,  
ერის დიდება, სიმდიდრე,  
სიმტკიცე ქრისტეს მცნებისა,

მეფეთა შორის ვარსკვლავი,  
გორგონი ბრწყნვალებისა,  
საშშობლოს მეუვავებელი,  
ტაძარი განათლებისა,

მისი დრომ გვიშვა მნათობი  
მგამანთა მეფე რუსთველი,  
პეტრიში ითანე და  
ეგრისელ — ძაგნაკორელი,

„ვისრამიანის“ დამწერი,  
დავით საათაბაგელი,  
კაცი ბრძენ განათლებული,  
ჩახრუხიდე და შავთვლი.

„დილარიანის“ დამწერი,  
ენი ტებილ სირგის თმოვეელი,  
„ამირის დარეჯანის ძის“  
მქებარი — მოს ხონელი.

საღვთო და საერო წიგნთა  
შემთხველნი (მწერალ-მთარგმელი)  
იმ დროის, დღესაც ბრწყინავენ  
ვითა ლამპარი, ნათელი,

ვინ შესძლებს მის იღწერის,  
მის საქმეთ სიღიადესა,  
ვინც ასხივოსნა სამშობლო,  
ფანტავდა სიწყვიადესა?!

სამშობლოს მტერთა მზარავი,  
მეგობართ სასიქადულო,  
უხვათ გამცემი. წყალობის,  
ქვეშევრდომთ სასიხარულო,

სამი წლის ბავშვაც კი იცის  
აქ ვისჩედ ვამბობთ, — ვინ არი  
ქართველთა დედა უებრო  
და ჩვენი მეფე თამარი.

შვიდას წელს მის წმინდა ხსოვნას  
ქართველი გულით ატარებს,  
და კვლავ მის პატივს ანდერძით  
საშვილიშვილით იბარებს.

დიდება, მეფე, შენს ხსოვნას,  
უკუნისამდე ამიერ,  
დიდება შენ მშობელ ერსა,  
სიცოცხლე მრავალუამიერ!....

### 6. საჯავახელი.

მაისი 1 - 1912 წ.



## მე მაინც არ მჯერა!

მე მაინც არ მჯერა, რომ ყოვლადსამდვ-  
დელო დავითი მისვე უნგბურათ სადმე გადა-  
იყვანონ და სამშობლო ქვეყანას მოსწყვიტონ  
კიდევ ერთი გულშემატკიცირი იდამიანი — მეუ-  
ცე. არ მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ სი-  
კეთისათვის კაცს დასჯიონ. ყოვლადსამდვდელო  
დავითმა დღეს მიაგნო თავის დანიშნულებას,  
დღეს გაითვალისწინა თავის მსახურების მიზა-  
ნი, ან, უკეთ რომ ვსოქვათ, დღეს განახორ-  
ციელი ის, რაზედაც დოქმდე, შეიძლება, მხო-

ლოდ ფიქრობდა, დღეს გავიდა ხალხში, დღეს ეჩვენა მას სულიერ მამად და წინამძღვრად ზე-ციერ სასუფევლის ვიწრო გზაზე. თვალზე ცრუმლი ვერ შევიმაგრე, როცა „შინაურ საქ-მეების“ № 15-ში სოფ. წოვის მამასახლისის ბ. ოსებ უშარაურის სიტყვა წავიკითხე, რო-ცა გავითვალისწინე და წარმოვიდგინე თუშ მოხუცუბულთა ნაღვლიანი შენიშვნები მისი მეუფების მისვლის და წირვის შესახებ, რაც ნამბობია იმავ ნომერში. და ვის არ დაეთუთ-ქება გული, როცა ქრისტიანი სულის მოძღვარს ეძებს და ვერ პოულობს? თუშებს დღემდე არ უნახავთ თავის სულიერი წინამძღვარი. არ სულდნიათ ვინ არის ეპისკოპოსი, არ მოუსმე-ნიათ მისი წირვა, არ გაუგონიათ მისი დარი-გება, არ უნახავთ მისი მაგალითი და არ ყო-ლადასმლვდელო დავითმა ცოტათ მაინც არის დააკმაყოფილა ბეჭავ თუშთა სულიერი წყურ-ვილი და სწორეთ ეხლა, აჭ სიკეთისოვის სა-ხალხო გაზეთი გვაუწყებს, რომ იგი სადღაც ქორეპისკოპოსად გადაჰყავთო. არა, ვერ და-ვიჯრებთ და ათასჯერ ვერ დავიჯრებთ, რომ ეს ამბავი მოხდეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მი-სი მაღალყოფლადუსამლვდელოებობა საქართვე-ლოს ექსარხოსი უკანასკნელათ გაასწორებს თა-ვის წინამოადგილეთა შეკორმას და დაავალებს თავის ქორეპისკოპოსებს ხალხში გავიდენ საქა-დაგებლად და მართლმადიდებლობის განსამტკი-ცებლათ. რა საჭირონი არიან ეპისკოპოსი თბილისში? განა მათი მოვალეობა მარტო ქა-ლიქით განისაზღვრება? ქართლ-კახეთში და ფშავ-ხევსურეთში ხალხმა არ იყის ვინ არის მლვდელ-მთავარი და ეს განა კარგია? გორს თავის ეპი-სკოპოსი ყის და გორმა არ იყის, ვინ არის ეპისკოპოსი. მართალია ეპისკოპოსები კანტო-რის წევრობის ასრულებენ, მაგრამ ეს ხომ არ შე-იდგენს მათ პირდაპირ მოვალეობას. ეს მოვა-ლეობა ხომ უბრალო მლვდელსაც შეუძლია შეისრულოს და ამით დლევანდელ საქართვე-ლოს ვკლესის მართვა-გამგეობის არაერი და უშავდება. მით უფრო რომ თბილისი ხავსეა იყიდემიელი ლვდლებით, რომლებიც სიტყვაზე ვსთქვათ ბევრს არაფერს ათბობენ... ყოვლად-

სამლელელო დაეითმა კარგათ გიოთვალისწინა ეს გარემოება, კარგათ ხედავდა, რომ იგი მეტ სარგებლობას მოუტანდა მართლმადიდებლო-ბის ხალხში ტრიალით, ვიდრე კანტორიში ჯდომით, ამიტომ თავი დანება წევრობის და თავის პირდაპირ მოვალეობის შესრულების მიჰ-კუ ხელი. ერთი სიტყვით მწყემსმა მიაგნო თა-ვის სამწყისს, მწყემსი დარაჯად დაუდგა ცხო-ვარს, კიდევ მეტი: მწყემსმა მოიძია დაკარგული ცხოვარი, აღისვა იგი მხართა ზედა, აღთქმა მისუა მწყემსთა მწყემსს აღარ დაჰკარგოს იგი, თავი შესწიროს მის კეთილდღეობას. და განა ამისთვის უქადის, „სახალხო გაზეთი“ გადაუვა-ნის მის მეუფებას! არა, არ გვჯერა და ვერც დავიჯრებთ!... სიზმრით ხომ არ ნახულობს „სახალხო გაზეთი“ ასეთ უცხო ამბებს?...

ხელი.

## მას ზ. ჭ-ს პერძე წერილის გამო.

სიღარიბე თან სდევს ყველა ჩვენი წოდე-ბის ადამიანს. იშვიათა შეხვდებით მდიდარ მლვდელს და თუ შეხვდებით ისიც შემთხვევით გამდიდრებულს ან და მამაპაპილან მემამულეს და მდიდარს. არც შეიძლება სხვანაირად. არც ქალაქში და არც სოფელში, არც დღეს და არც წინეთ მლვდელს იმდენი შემოსავალი არ აქვს და არ ჰქონია, რომ მის სრულიად მარ-ტოვ მოხხოვნილებას მორჩეს ან მორჩენოდეს. ის კი არა სასირცხოთ ანაფორა ჩამოფლეთი-ლი დავირებით, ხელები შუშაობით დაბეგებუ-ლი გვაქვს, სახე შზისგან გალანჯული და ცოლ-შეილი ნახევრიად ტიტლიკანა. მაგრამ ყველა ამაებთან არ უნდა გვაიწყდებოდეს, რომ ჩვენ მლვდელნი ვართ, მოძღვარი, მასწავლებელი და წინამძღვარი გვევია და სწორეთ ეს გარე-მოება უნდა გვაიძულებდეს თუ წინ არა უკან მაინც მოვსდევდეთ თანადროს, გვქონდეს გა-თვალისწინებული მისი კეთილი და პოროტი მხარე და პასუხს ვაძლევდეთ ყველის, ვინც საჭიროებს ჩვენ ხელმძღვანელობაში, ვანსაუ-თრებით ჩვენი პირდაპირი მსახურების შესახებ.

ამიტომ, რაც უნდა დარჩიბი ვიყოთ, რაც უნდა  
ცალშეიღო შიშილით გვეხოუბოდეს, ჩვენ  
ჩვენი უმთავრესი მოვალეობა არ უნდა გვავი-  
წყდებოდეს და ყოველი ღონისძიებით უნდა  
ვვითარდებოდეთ იმ საგნებში, რომლებიც ჩვენ  
მოვეოთოვება ჩვენი სამწყსოსაგან. არასოდეს  
არ კმარილი შხოლოდ მღვდელ-მოქმედების  
შესრულება, მღვდლისგან ყოველთვის მეტს  
მოითხოვდენ და ამ მოითხოვნილებასაც ხომ  
მომზადება უნდა და გამუდმებული მაცადინო-  
ბა. „მღვდელს ჟილოფშიდაც იცნობენ“, ნა-  
თევამია და სეც უნდა იყოს. მღვდელი, რაც  
უნდა დაფლეთილ ანაფორაში იყოს გახვეული,  
მაინც მღვდელი უნდა იყოს, მაინც მოძრვას უნ-  
და ეძხოდენ, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ სა-  
ჭითაც. ამისთვის კი სიკიროა დღეს გაზეთები და  
წიგნები, თუ ბევრი არა, ცოტა მაინც. ამისათვის  
მღვდელი, თუ ნამღვილი მღვდლობა და მოძრვ-  
რობა უნდა, არ უნდა იზოგვდეს არაფრეს, არ  
უნდა იშურებდეს უკანასკნელ გროშს, ამას უნ-  
და უკანასხებდეს მას უბრალო თავმოყვარეო-  
ბაც. რა სახელი და გავლენა შეჩრჩხა იმ  
მღვდელს, რომელიც პასუხს ვერ გასცემს უბ-  
რალო ჯირკის ორატორებს, რომლებიც თავის.  
უწმინდური ბავით და უვიცი თავით კალინ-  
იად ეხებიან ხალხის წმიდათა წმიდას, ქრის-  
ტეს მოძღვრებას და ურტცხვთ უარყოფენ უვე-  
ლაფერს, რაც განწმედილია და უცილობელ  
კეშმარიტებათ აღიარებული მართლ-მადიდებე-  
ლი საჩრდინებისგან?

მაგრამ ჩვენი სამღვდელოება არც ისე  
ლარიბია შინკა და პინკა, რომ თავის განსა-  
კუთარებელ წიგნების შესაძენათ წელიწადში  
ერთი თუმანი ვერ მოიძულოს, — ერთი თუმანი,  
რომელსაც ხშირად ისეთ საქმეში ან საქციელ-  
ში დახირჯავს, რომელიც უფრო მავნებელია,  
ვიდრე სისარგებლივ და გამოსადევი. ავილოთ  
თუ გრძე თუთუნის წევი. მოუხედავათ იმისა,  
რომ ეს მღვდლისათვის მეტოთ შეუფერებელი  
საქციელია, იყი მასთანავე მავნებელიც არის.  
გარნა ზეხვდეთ, რამდენი მღვდელი ეწევა თუ-  
თუნს, რამდენ შანათს, რამდენ თუმანს სწვევს  
იგი ცუკილში სარელიც უსარგებლოთ, რა-

გორც თავისათვის, ისე თავის ცოლშეიღისა-  
თვის. შემიძლია ასთქვა, და მგონი არც მო-  
ტულვდე, რაც ფული სამღვდელობას თუთუ-  
ში გაუდის წლიოთ-წლიად, სრულიად საკმარისი  
იქნება, რომ ერთი ცოცხალი დროგამოშეგითი  
სისულინერთ გამოცემა უზრუნველყოს. ესეც  
არ იყოს, რამდენი უბრალო სრულიად გამო-  
უსადეგარი ხარჯი მოვდის წლიოწადში; და  
ყოველივე ესე ხორცისათვის მხოლოდ მისთვის  
და არა სულისათვის, რომლისათვეს როგორც  
მღვდლები, უფრო უნდა ვიღვწიდეთ, და სამწყსოს  
მაგალითს უჩვენებდეთ.

სიღარიბებზე თუ კოტყვით, არავინ ქართ-  
ველ რედქტორზე უღარიბესი არ იქნება.  
მთელი თავის ენცრიფია, ძალი და ლონგ გამო-  
ცემას უნდა შესწიროს და თითონ კი მშეიქ-  
მწყურვალი ეგდოს. ამას კიდევ ზედ დაურთვეთ  
ზენერატორი ტანჯვა, რომ მის შრომას არავინ  
აფასებს, არც კი კითხულობენ, არ იწერენ  
გამოცემას და აყველრიან კიდევ, ვითომდა ქვე-  
ყანას კულეფავდეს.

მაგრამ არა, ნურავინ გავახელოთ სიღა-  
რიბეს იქ, სადაც საქვეყნო, საერთო და საეკ-  
ლესიო საქმე კეთდება. - ყველამ მოვიკლოთ  
ცოტა რამ, თუნდ ერთი პაპიროსი დღეში და  
ნახავთ, რომ დაზიმი აღარ ვიქნებიო და ყვე-  
ლას აღვილათ შეგვეძლება ათხმანათიან გაზე-  
თის გამოწერა.

უკაცროვათ, მამაო ზ., ოქვენ არ გითხოვ-  
ეთ განეთის მუქთად დამობა, კიდევ მხათა-  
ხართ უკანასკნელი გროში გადასცვათ მისლეის  
და ზნეობრივადაც დამებმაროთ, მაგრამ ოქვენ-  
მა წერილმა ბევრი სხვა წერილების შინაარსი  
მომავონა. მომავონა აგრძოვე, რომ ბევრია  
ჩეცნში, არა თუ მდიდარი, არამედ არა ლაპი-  
ბი, რომლებსაც მიუხედავად ამისა არ გამოუ-  
წერიათ განეთი, სანამ სხვა თანხილან ნება არ  
მისცეს და კიდევ არ დაავალდებულეს. გაშ-  
არც სულ სიღარიბეს უნდა ვაბრალებდეთ კუ-  
ლოფერს. უნდა ვვახსნედეს, რომ „თუ გული  
გულობმა, ქადა ორივე ხელით იჭრება“.

۱۷۸

## სამინისტრო უკოლეგი თუ საე- კლესიო.

(წერილი რაჭილაც).

ვინც რაჭას მცირეობნათ მაინც გაცნობილია, ის დღეილათ შენიშნავდა, რომ რაჭის ხალხი სწავლა განათლებით იმ ზომაში ჩამორჩნილ-ჩამოქვეითებული, რომ მას დღეს განვითარების, თითქმის, უკანასკნელ საფეხურზე უდგია ფეხი. მიზეზი ამისა ისაა, რომ მას დღემდე ვერ შეუგნია მნიშვნელობა სწავლა განათლებისა და ამიტომ საჭიროა სიტყვით და საქმით მათი გამოფხიზლება და გათვითუნობიერება. მერე, ვის უნდა დაევალოს ეს უსაჭიროები მისისა? რა თქმა უნდა, — უპირველესათ იმ რაჭველებს, რომელთაც საქართველოში უგეგმებიათ სიტყბოება სწავლა-განათლებისა; მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთ პირებს რაჭაში დიოგენის ფანრითაც კი ვერ მოიძევთ, რადგან მათ საცხოვრებლათ სხვა და სხვა ქალაქები აქვთ არჩეული. იქ ისინი მხოლოდ მდიდრულ ცხოვრების ტრაფობა-ძიებას ახმარენ მთელ თავის ძალონებს და აზრათაც კი იღარ მოსდიოთ ის, თუ რით და როგორ ანუგეშინ მიტოვებული სამშობლო მხარე. ნუ თუ მთელ რაჭაში ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი მაინც არ უნდა არსებობდეს? არ არსებობს კი მიტომ, რომ საბრალო რაჭას აქმდე არსაიდან არ გამოუჩნდა ამ დიალი საქმისთვის გულშემატკიცარი ინიციატირი. პირველდწყებითი სამინისტრო და საეკლესიო სასწავლებლებიც კი ისე მცირეა რაჭაში, რომ მათი რაოდენობა თითებზე ჩამოიფლება. დღემდე მათ შორის შედარებით უფრო ხშირი იყო საეკლესიო შეკლები, დღეს კი რიცხვი სამინისტრო შეკლებისა თანდათანობით უფრო მრავლდება და საეკლესიო კი იგიც აღიარა, რაც იყო. ეს გარემოება უმთავრესათ მითი თხსნება, რომ საზოგადოთ საეკლესიო შეკლებს და მათ მასწავლებლებს შესაფერს მზრუნველობას ვერ უწევს მართვლება. ეს უტყური სიმარტლე თვით უწმინდესი სინოდის ობერ-პრიუსტრომა საბლერმაც კი ხმა მაღლი აღიარა 16-ს მარტს სახელმწიფო

ფო საბჭოს სხდომაზე. ჩვენშიაც ამას ლალადებს სინამდვილე: თითქმის ორი წელიწადი სრულდება მის შემდეგ, რაც იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ აფიციალურად გამოაცხდა: „ამიტრიდან საეკლესიო შეკლების უკელი უფლების მექონე მასწავლებლებს იმდენივე ჯამაგირი დაენიშნებათ, რამდენიც სამინისტრო შეკლების მასწავლებლებს ეძღვეათ და საღმრთო სჯულის მასწავლებლებსაც ცალკე ჯამაგირი მიცემათ“. მერე, საცემით გაამართლა მან ეს თქმა? სრულებობაც არა! ბევრგან ისევ მცირე ჯამაგირი ეძღვეათ მასწავლებლებს, ზოგან კი სულ უჯამაგიროთ ამსახურებენ მათ და აკმაყოფილებენ მხოლოდ დაპირებებით...

არც საღმრთო სჯულის უანაფორო მასწავლებლებს ეძღვეათ ცალკე ჯამაგირი; მაშინ როდესაც სინოდის დადგენილება სრულებითაც არ იძლევა მიზეზს ამ ვარი გარჩევის შესახებ. ასეთი საეკლესიო შეკლების მასწავლებლების ხვედრ-ბედი საზოგადოთ და კერძოთ რაჭის მასწავლებლებისაც, საღაც შეკლები ზოგვან მოთავსებულია ისეთ შეუფერებელ შენობებში, რომელნიც მნაცვლს მეცელის თავშესაფარ ქმნს მოაგონებენ. შეუფერებელ შენობაში მცხოვრებ მასწავლებლის ვაჭირვებულ მდგრამარებას კიდევ უფრო ადიდებს და აორეულებს უგზოლენობით გამოწვეული სიძირის საზრდო-სანოვაგინა განსაკუთრებით ზემო რაჭის სოფლებში, საღაც, ზამთრობით მაინც, გასისყიდს კაცი ვერაფერს ვერ იშოვის და საღაც მისულ მასწავლებელს დაუნატრულდება ყოველიფერი თუ შემოდგომითე არ იზრუნა. ადვილი წარმოსადგენია ამ ვერა პირობებში უჯამაგიროთ და მცირე ჯამაგირში მასწავლებლებით მდგომარეობა და მათი შრომის ავ-კარგიანობა. სასულიერო უწყების წარმომადგენლი სახელმწიფო სიბჭოში თავგამოიდებით ისევენ საეკლესიო შეკლების განსაკუთრებულ აორებობას და მშერიცებენ, რომ საეკლესიო და სამინისტრო შეკლების განცაკვებული აორებობა მით უფრო სასურველია, რომ ხსენებული შეკლები ერთმანეთს ვა-

მოეჯიბრებიან და ხალხის სწავლა განათლებას უფრო ჩქარი და გაუმჯობესებული მსვლელობას მიცემათ. მართლაც რომ საგრძნობელ კონკურენციას უწევს დღეს სამინისტრო შეკლები საეკლესიოს. თუ დღემდე დირექტია სამინისტრო სკოლებისა მხოლოდ საზოგადოების კანკულარიებთან ხსნიდა თავის სკოლებს, დღეს ის თვითოულ სოფელში გაფაციცებით აარსებს მას და თუ რომელიმე სოფელის ხალხს საეკლესიო შეკლის გაუქმება და მის ნაცვლათ სამინისტრო შეკლის დაარსება კი აფიქრებია, მის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. ამას კი დირექტია აღვილად ახერხებს, რადგან მოპირდაპირე წინააღმდეგობას ვერ უწევს, აღმინისტრაციაც მობრეთა ჰყავს და თავისი უხევი ფინანსიური მდგომარეობითაც ჯადოსნურათ ხიბლავს და იზიდავს ხალხს. ან კი როგორ არ მიემხრობა მას ხალხი როდესაც — ა) ის თვითონ უდვიძებს მათ სწავლა-განათლების სურვილს და კველგან პირველ მოთხოვნილებისთანავე დაუყონებლივ აარსებს შეკლებს და მასთანვე დიდ დახმარებას უწევს ხალხს ფულით თვით შეკლის შენობის საქმეში. ბ) მასწავლებლებსაც განწევებისათანავე უნიშნავს სრულ სახაზინო ჯამაგირს და ემერიტალური კასითაც მანუგეშებელია მათი. გ) კანკულარიული საქმის წარმოებაც მოსაწონათა აქვს მორთულ-მოწყობილი და დ) განათლებასაც ხელოვნურათ უძღვის. ყველა ამ უპირატესობაებს საბჭო უმთავრესათ დირექტიის ფულიანობის მეოხებას აწერს და ეს კიდეც ასეა, რადგან ხალხის სწავლა განათლების გაერთიანების და წინსვლის საქმეში დიდი და უნიკვლებელი მნიშვნელობა აქვს ფულს. ამიტომ წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ საეკლესი შეკლების სიღიანისტოების მარტო მათი მეთვალყურის, ავერკვევის დაუღალევი შრომა — ცდილობა და რევიზიები არ კარა, თუ თვით საბჭოც მოელი თვითს შეერთებული ხალხით არ ეცადა მის დროისათ საქმაო ნივთიერი საშუალების მოპოვებას და მით საეკლესით შეკლების გამრავლებ — აღორძინებას.

კისკიფერი.

## ხმა სამრევლო შკოლიდან

1910 წლის ნოემბრის რევიზიაშ წასულის წლის შემოდგომიდან რომ სამრევლო სკოლების ორ-ორ კომპლექტიანთ გადაკეთება გამოიწვია, ყველას მოხსენდება. ახლა იკითხეთ, რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ახალი კომპლექტების ახალი მასწავლებლები?.. თითქმის შეიღიო თვე გადის და ჩვენი ჯამაგირის შესახებ არაფერი გვესმისარა სახეირო. პირიქით ათასი სხვადასხვა ნაირი გულასკლავი ხმები სიცოცლეს გვიშავენ. ჩვენს არსებაში მხედვების აღგილი სასოწარკვეთილებამ დაიჭირა.

სიმშილით სული გვხდება და მათხოვრებს დავემსგავსენით; საკუთარ ოჯახზე დაცილებულებს მოხუცი მშობლები და წვრილი შეიღბი სიმშილით გვეხოცება. აღგილობრივი მცხოვრებნიც მეტად გულგრილობას იჩენენ ჩვენზე. აღმათ ვერცხლის ჩრხიალი არ ემისთ. ნისით არც ბინას გვითმობენ და დღიურ ლუქმასაც არ გვაწვდინ, თუმცადა მათ შვილებს უფასოთ ვაწწვლით და შეკლასაც არაეითარი შემოსავალი არ აქვს. ასე მოკლეთ ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა.

და მოგმართოეთ-რა იმერეთის საეპარქო სამასწავლებლო საბჭოს, ვითხოვთ მისგან დაბარებას უმაღლესად წყალობის მოქებაში.

მასწ — ლი მ. ის.

სწორეთ რომ გაჭირებას უნდა განიცდი დენ და ნეტა რას აპირებს საბჭო. თუ მეორე კომპლექტი გააჩინა, უთუოთ საქმელიც უნდა მიუჩინოს. უამისოთ განა შეიძლება სამსახური?

რე.

## საიმედო ნიშნები.

(წერილი სოფელ კორბოულიდგან).

წასული წლის მაისის თვეში „შინაური სააქმეები“-ს საშუალებით მოწოდებით მიემართ ჩვენი ეპარქიის სისულიერო და ხაერთ პრეტებს, რომლითაც ვპირდებოდი დახმარებას პირადი რჩევით და საჭირო წესდებების მიწო-

დებით, ვინც განიძრახა თავის სოფელში წვრილი კრედიტის (სასოფლო ბანკების) ამხანაგობის დაარსებას. ჩვენს მოწოდებაზე პასუხი შევიღეთ 30 პირისაგან, რომელთაც დაუყონებლივ ვაძლევდით პასუხს და უგზავნიდით წესდებებს. იმედია, პატივ-ცემული პირები ჯეროვანი მხერიბით და ენერგიით მოექიდებიან ამ სასარგებლო საქმის განხორციელებას. საკრედიტო ამხანაგობების დაარსებას ბოლოს მიზნათ ის აქვს დასახული, რომ ხალხში დაბადოს ამის მსგავსი საზოგადო—საერთო სავაჭროების დუქან-მაღაზიები დაარსდეს ჩვენს დაბა სოფელებში, რათა ხალხი იხსნას ჩარჩ-ვართა უზრუნველყოფით განვითარებას და აუკილებელი საკირო სავაჭრო ნივთები გაუიაფოს სასყიდლათ, და მოგებაც საზოგადოების საკუთრებათ დარჩეს.

ხსნებული მიზნის განხორციელებას ემსახურება უურნალი „კომპერაცია“(\*), რომელიც გამოდის ქ. ქუთაისში ჩვენს სამშობლო ენაზედ და რომლის გამოწერასაც უჩჩევ ყველა საკრედიტო ამხანაგობებს და აგრეთვე ყველას, რომელთაც ეინტერესებათ ჩვენი ბერავი სამშობლოს ბედილბლის საქმე.

დროა, შევიგნოთ საქართველოს ყველა წოდების ხალხმა, რომ უერობითაც, რომელსაც დღემდის ვერ ველირსეთ, შეიძლება საქვეყნო საქმის გაკეთება, თუ ჩვენის მხრივ ეროვნულ შეგნებას და მხერიბას გამოვიჩნოთ.

**მდვ. კლადიმერ მაკარაშვილი.**

სოფ. კორბოული. 13 პრილი 1912 წელი.

## ჩვენი სამდვრევლოების ცხოვრებიდან.

„შინაურ საქმეების“ მეოთხ ნომერში „ხორციელი“ სწერს, რომ რაქში ზოგი მღვდელი შედუქნებას, ზოგი გადამწერლის როლს ისრუ-

\*) სამწუხაოდ ეს გამოიყო უსახსრობისა და მართვის დამატება.

რედ.

ლებს, ზოგი კიდევ რას ჩადის, თან დასძენს, რომ „ამგვარი მამები სხვაგანაც იქმნებიანო“.

ჰაი, ჰაი, რომ მართლა არიან ჩვენში ამგვარი მღვდლები... თუ რაკამ, როგორც ფულის მექონე ქვეყანაში, მედუქნე მღვდლებიც წარმოშობა, ჩვენ კურთხეულ ლეჩებში მღვდლების უმეტესი ნაწილი უფროცებად დასახა უკულმართმა გარემოებამ. რომ დაიარო მრთელი ლეჩებში, სადაც 60 მწევლია, ორი მღვდლისაგან თუ გაიგონებთ ქადაგებს, თორემ დანარჩენები წირვა-ლოცვის ფორმალურად შემასრულებელნი-ლა არიან, ზოგიერთები თავ-თავის დროზედ არც იმას ასრულებენ. ამავედ უარესიც ხდება... ამას წინეთ ს. ზ—ში მშენდათ მომუშავე გლეხს მიუხტა მისი სულიერი მოძღვარი და რომ დამშრე პირები არა, უტედურება დატრიალდებოდა. გლეხმა თავს უშველა გაქცევით და მღვდელმა კი გლეხის ნაკეთები ლობე მიანგრიმოანგრია. ესეც არ აკმარა მღვდელმა და რკინის ჯონით დაედევნა საწყალ გლეხსა.

გულნატკენმა და მოძღვრისაგან შემინაბულმა გლეხმა საერთო სასამართლოს მიმართ იმ მოსაზრებით, რომ, რა არის, ამ უკანასკნელმა მაინც აღადგინოს სიმართლეო, რაღაც სასულიერო გამომძიებლების იმედი. ხალხს დაეკარგა... ეს გარემოება ბევრს რამეს გვიარნახებს, მაგრამ ვინაა გამომინი?

ეხლა მიბრძანეთ, თქვენი კირიმე, ამგვარმა მღვდლებმა როგორი მოძღვრობა უნდა გაუწიონ ხალხსა და ან სხვა მღვდლებს ამის შემდეგ როგორი თვალით უნდა შეხედონ!?

შეორე მღვდელი დუქნის დაზღვედ ლეკურს თამაშობს და ხალხში სიცილს იწვევს... მესამე მღვდელი შემოსილი, რომ იტყვიან გადატრიან უბული, უგებს წესს მიცვალებულს და ქმევის დროს ზედ კუბოზე გაიშხლართება!

სხვას ნულა მათქმევინებთ, ესეც კმარა... ეხლა მიბრძანეთ, თქვენი კირიმე, რომელი „გამისწორებელი კომისია“ არის, რომ ამგვარებს გაასწორებს და საღად შექმნას! ან რომელი ბლატონინია, რომ ამისთანებს მოყომწესით?! ჩიტენი კოვებივართ ბლატონინებს, რო-

დესაც უმაღლესმა მთავრობამ ვერა გააწყო-რა  
მათთან... რატომ? ვისი ბრალია? ისევ ჩვენი,  
ისევ ჩვენი...

ზოგიერთების გასწორების ჩვენ ვერ შევ-  
ძლებთ, უმჯობესია მოვამოროთ ხორცმეტები  
და მათ ალაგის „სალი“ მოძღვრები გავამრავ-  
ლოთ... მაგრამ, ვაი, რომ ესეც ძნელია! მრა-  
ვალ არიან ჩინქმულ, ხოლო სულ მცირედნი  
რჩეულ.

მაშ რა გვეშველება?! რა გვეჭირვება?!  
ჩვენ გვეჭირებება რაღაც ახალი, მაგრამ რა უ-  
და იყოს უახლესი და უკეთესი სულის განსპე-  
რაკებისა და კაცობრიობის განასკებისა სიტ-  
ყოთა ღვთისათა!?

მოგეხსენებათ, სამი უმთავრესი ძალა ამო-  
ძრავებს ადამიანის სულიერ მხარეს: გონება,  
გული და ნება განვასკეტაკოთ, გავამშვენიე-  
როთ, გარდავქნათ თან-და-თანობით ეს სამი  
სულიერი ძალა და ჩვენც ნაშველები ვიქნე-  
ბით.

სოფლის მდევრელი.



„მმობის“ სტამბაში ამ უამაღ იბეჭ-  
დება და მოკლე დროში გამოვა გასა-  
სყიდათ წიგნები

**„სინაგოგის საზარეპისა“**

და უბის

**„ვეზევის ტყაოსანი“**

ფასი თითოეული წიგნისა ექვსი ზა-  
ური. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

## რას გვზერენ?

სადგური სუსა. 1912 წლის 25 მარტი  
ლირს შესანიშნავია ჩვენ სუსის მცოვრებთა

გულში, მაგრამ ის არ იფიქროთ ბ. მეითხვე-  
ლო, რომ მარტო იმითი იყოს შესანიშნავი რომ  
ხარება და ბრწყინვალე აღდგომა ერთათ შეხე-  
და. არა! ეს ქმნილი და კიდევაც იქნება. ის  
ჩვენი აღფრთოვანების მიხეზი 1898 წ. აწ გან-  
სვენებულის თ. ჯამბაკურ გურიელის საშვალე-  
ბით მოწოდებულ იქმნა სად. სუსიაზე ცველა-  
საგან პატივცემული ფილიმონ ქორიძე, რომ  
მას ესწავლებია მსურველთათვის ნოტებზე  
გადაღებული გალობა. ეს განზრახვა არ დარ-  
ჩენილა უყურადღებოთ და შე. ბ. ჩ—ლმა მა-  
შინვე შეკრიბა რამოდენიმე კაცი რომელთაც  
სიამოვნებით სურვილი განაცხადეს გალობის  
სწავლისა, და ექვსი თვის შემდეგ მართლაც  
შევენირი გალობა ატებობდა ჩვენს ყურა. ამ  
ახლად გამოჩეულ მგალობელთა გუნდში აღ-  
მოჩნდა ერთი, ყველაზე საუკეთესოდ ცნობილი  
ბ. ფილიმონისაგან, გაბრიელ სარჯველაძე და  
სწორეთ ამ პირს ჩააბარა წინამძღოლობა ამ  
დაწყებული საქმისა. ამ დღიდგან რამოდენიმე  
წელიწადს მართლაც ყურის დამატებობელი გა-  
ლობა გაისმოდა ჩვენს ტაძარში. მაგრამ შემ-  
დეგში ამ ისედაც მცირე გუნდს ბევრი ხევი  
გამოაკლდენ, ზოგი სალდათათ წაიყვინეს და  
ზოგიც აქ დროებით მცხოვრებნი იყვნენ და  
ამ რიგად თითქმის უნუგეშო მდგომარეობაში  
იყო საქმე, მაგრამ ბ. სარჯველაძე მაინც არ  
იტებდა გულს და ის დღითი-დღე იზიდავ-  
და გალობის სწავლის მსურველებს. აი მაგალი-  
თად, სადაც შეხედებოდა ბ. სარჯველაძე ურ-  
ნალ-გაზეთებში ნოტებზე გადაღებულ სიმღე-  
რებს, „ზაგალითად“ „იზარდე მწვანე ჯვა-  
ლო“ • „დელი ოდელი ოდელა“ „მოკლეს  
ილია“ და სხვა, ის მაშინვე მიიწვევდა თავისთან  
ყმაწვილებს და ასწავლიდა ამ სიმღერებს. ამან  
იმ ზომადე გაულებისა ბევრს სურვილი, რომ დღეს  
ყმაწვილების საქმაო რიცხვი არის შეკრიბლი.  
რომელნიც გულმოდგინეთ სწავლობენ საექვა-  
სიო გალობას და სხვა სიმღერებს, და ის სწორეთ  
ამითი იყო ბედნიერი ჩვენი ტაძარი 25-ს მარტი.  
სწორეთ მაღლობის ღირსია ბ. გ. სარჯველაძე.  
კიმედოვნებით რომ მისი მაცალინობა დღიდ ნა-  
ყოფს გამოიღებს.

№

## ი. სალხინოდან (სენაკის მაზრა).

ვინ არ იცის, რომ ხალხის კეთილ დღე-ობა დამყარებულია იმ გონიეროვ განვითარებაზე, რომლის შემწეობით იგი ხერხიანათ ებრ-ძეის ბუნებას და ამ ბრძოლაში სრულიად არ ეხება თვის მოძმის ინტერესებს. მაგრამ, სამ-წუხაროთ, ამისთანა განვითარებას ერთობ მო-კლებულია ხალხი, როგორც საზოგადოთ ყველ-გან, ეგრეთვე ნამეტურ ჩვენში მიზეზი ამისა, რა-საკირველია, არის ის განცალკევება, რომე-ლიც სუფევს უბრალო ხალხისა და ინტელი-გენის შორის. ვინც დაკვირვებია ჩვენი სო-ფულის ცხოვრებას ის უსათუოდ შენიშვნავდა, რომ ის სოფელი რომელსაც ბედმა შემთხვევით არგუნა ერთი ანუ ორი ცოტათი მაინც განა-თლებული კაცი, ბევრათ განიჩევა იმ სოფლი-დან, რომელსაც ეს ბედი არ შეხვდერია. რო-გორც მაგალითი ამისი შეგვიძლია დავისახელოთ მისი უმაღლესობა პრინცესა მიურატისა, სალო-მე, მეგრელის მთავრის დავით დადიანის ასული და ძე მისი ლიუსიენი.

მის უმაღლესობას აქვს სენაკის და ზუგ-დიდის მაზრებში სასახლები, მაგრამ უფრო მომეტებულათ საცხოვრებლათ ბრძანდება ს. სა-ლხინოს სასახლეში.

მობრძანებისათანავე ს. სალხინოს, მის უმა-ღლესობას დაუწყია ვენახის გაშენება და სხვადასხვა კეთილ საქმეების შემოღება სასა-რგებლოდ ხალხისა. როგორც დაბეჯითებით უწყით და ვხედავთ, მისმა უმაღლესობამ დიდი განათლება და სარგებლობა შემოიტანა არა თუ ამ სოფელში მარტო, არამედ მთელ ამ მხარეში მცხოვრებლებთა შორის, რომლებსაც დიდი შემწეობა აღმოჩენია სწავლა განათლების და მეურნეობის საქმეში.

მათი უმაღლესობის შემწეობით და ნივთიუ-რი დაბმირებით, როგორც ზუგდიდის მაზრაში, ეგრეთვე სენაკის მაზრაშიდაც, მრავალი სკოლე-ბი დააჩინდა.

სოფელ სალხინოს მისი შემწეობით დაარ-სებულია ერთი თრილისინი სამინისტრო სას-წავლებელი და ერთი საექვლესით სამრევლო

შეკლა, რომლებშიც ეხლა 260 ყმაშვილი სწა-ვლობს.

სალხინოს ორკლასინი სამინისტრო სის-ტავლებულის უვარების შენობის მაგიერ მისი უმა-ღლესობის პრიც ლიუსიენის, თაოსნობით და შემწეობით წასრულ წელში დაიწყო დიდი შჟენიერი ქვის შენობა ცინკით დახურული, რომელიც მხათ იქნება მომავალ სამოსწავლო წლის პირველი სეკტემბრიდან ეს შენობა საქმა-ო საქალაქო ან სახელოსნო სასწავლებლისა-თვის. ხმაა, სამოსწავლო მთავრობას აზრათ აქვს, სალხინოში დაარსეს საქალაქო ან სახელო-სნო სასწავლებელი. ღმერთმა ინებოს! მისი უმაღლესობის პრინცესას საკუთარი ხარჯით ს. სალხინოდან ტვირულ მთამედი გაკეთდა შშვე-ნიერი გზატეტეცილი და სამ ალაგის მდინარე ნაჩხურზე ხიდები რამაც ძლიერ გაუადვილა ხალხს მიმოსვლა. დღემდე ზურგით უნდა ჩა-მოეტანა ხალხს საჭირო ხეტყე და ნამუშავერი, ეხლა კი თავისუფლათ ხარურმით ტრიალობენ. მე, ამ სტრიქონების დამწერს, არა ერთხელ გაუგონია ხალხში ისეთი დაღადი: „ღმერთმა გვისულოს ბ. პრინცესა, მან გაგვანათლა ყოვლიფრთ: შკოლები გაგვიხსნა, გზები გაგვი-კეთა და მუშაობა გვაწავლა. როგორც ნამ-დვილი წყაროდან ვიცი გზის და ხიდების გა-კეთება არა ნაკლებ 25-თი ათასი მანეთისა უჯ-დება მის უმაღლესობას. ღმერთსა ესთხოვთ მი-სი უმაღლესობის პრინცესა სალომე დადიანის ასულის შეკლებითურთ ხანგრძლივ სიცოცხლეს საშობლო მხარის სასარგებლოთ,

მღ. ვ. კარაცხელია.

## გიორგი სააპაძის სურათს.

ჩინებული ვალი დასდგა ბ. სიმონ ქვარიანშა ქართველ საზოგადოებას თავისი ისტორიული ნარკევით: „ქართველი ერის ტრაგედია მე 17 საუკუნეში. (გომრვი სააპაძე და მისი დრო).“ ვალი მით, რომ მდაბიურად და თითქმის ყველასათვის გასაგებ ენით იგვიწერა საქართვე-ლოს ბუმბერას გმირის — გომრვი სააპაძის ერიო-სური კუუა-გონება, მისი უუმწერელვალესი ვრძნი-

ბა მამულისადმი სიყვარულისა და მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო გმირობა — სიმამაცე და ისიც ხელ-მისაწვდენ ფასად დაუთმო მკითხველ საზოგადოებას. ეს წიგნი ყოველ ქართველის სტოლს და გიორგი სააკაძის სურათი ყოველ ქართველის კედელს უნდა ამშვენებდენ... გიორგი სააკაძეს, როგორც უკვდავ მამულის შვილს, ერთნაირად უნდა იუნიბრეს ქართველი კაცი და ქალი, კაბუკი და მოხუცებული... ახალგაზდა, იმის გმირობის და სულის სიდიდის მოგონებით უნდა იღვივებდეს გულში სამშობლოს სიყვარულის ცეცხლს, დედები უნდა უმბობდენ თავიანთ შვილებს სულის აღსაფრთხოებანდ სააკაძის თავ-გადასავალს და მამები, სააკაძისავე სახელით, უნდა ულიკიბდენ შვილებს სამშობლოს ერთგულებას... ყოველმა ქართველმა, გიორგი სააკაძეს უნდა დაუდგას, თავის გულში, ტახტი თამარ ბრწყინვალის გვერდით, რადგანაც სააკაძისთანა მოყმე სწორეთ ამ უბრრ დედოფალს ეკადრება და არა თემურაზ-ლუარსაბებს, რომელთაც თავის საქციელით გული მოუწამდეს გენიოს-გმირს! გიორგი სააკაძეს უნდა იუნიბრეს ქართველი ერთ ისე, როგორც თვით თამარ დედოფალს იუნიბს, რადგანაც მიზანი ორივესი ერთი იყო: — საქართველოს მთლიანობა, მისი გაძლიერება, დამოუკიდებლობა და იყვავება... ქართველი ერთ უნდა ამაყობდეს კიდეც, რომ ქართველის დედას შესძლებია ასეთი დიდება მიეძღვნა სამშობლოსთვის...

მაგრამ რას ვამბობთ? დღემდის გიორგი სააკაძე განა საამაყო იყო? დიდი მოურავის დროშაზე ის წერილი, რომ სამშობლოსთვის თავ-განწირული სააკაძე, სამშობლოდგან მუდმი დეკნული და განწირული იყოსთ — და ეს, მისი გარსკვლავის მონაქადგი სიტყვები, არა თუ შესრულებია მას მის ტრაგიზმით სიცხვე სიცოცხლეში. ისტორიაშიდაც გადასულა, მისი მშე-პირის სიცხვე მოსცებია შეი ლაქი სამშობლოს მოდილიტას და, კინ იცის, სანამ შერჩებოდა მას ეს სამარტვენო დამკირება, რომ ზოგიერთ ჩინებულ ქართველებს, სრულიად სამართლიანოდ, არ მოგხოვთ ეს მისთვის...

აქ უნებურიად გვებადება კითხვა: სუკუნეების განმავლობაში დრონი იცვალნენ თუ არა? და გვემის სამწუხარო პასუხი — არა.

1) სულით მდიბალი ისტორიკოსი ფარსა-დან გორგიჯანიძე, რომელმაც საქართველოს ისტორიაში ჩირქი წასუბო უებრო გმირს, კინი-დგან მისი (გორგიჯანიძის) მამა სრულიად სამართლიანოდ დაუსჯია სააკაძეს, გვაგონებს ამ რა-მდენიმე წლისუკან მიცვლილ მწერალს-ილია ხო-ნელს, რომელმაც ჩენენი სუკუნის გმირს — ნე-ტარ-ხსნებულე პისკოპოსის სახელს, ერთ-ერთ ბაქოელ გაზეთში უმგვანო რამეები — მიაწერა, რა-დგანაც ბ.ხონელის მამა — მლედელი ბახტაძე ემდუ-როდა განსვენებულ ებისკოპოს... მაგრამ ხონე-ლის ლირსეულად მიეგება პრესა საგანგებოთ მოჭო-რილი ცილისწმებისთვის, რაც ბედი ვერ ეწია დაშორებულ დროის გმირს — სააკაძეს; მისმა დი-დებულმა სახემ მხოლოდ სუკუნეების შემდეგ გამოიღიმა.

2) ჩენენს კურთხეულ გურია — იდიშში ერ-თ საპატიო ქართველი პყვით, რომელიც სუ-ლით, გულით და მთელის არსებით ნამდვილი ქართველია, რომელიც კრავით შესწირავს თავს სამშობლოს კეთილ — დღეობას, მაგრამ ინდობენ-კი? რა ბრძანება! შევყურებთ და თვა-ლებს ვერ უჯერით, როგორ ტყდება ციხე ში-ნიდან და როგორი ხათქა-ხუთქი გაუდის „ჩე-ნებური დონოსების“ ყუმბარებს!... წინასწარ-მეტყველებისაგან შორს ვართ, მაგრამ ეს არა-ფერი წინასწარმეტყველბაა, რომ ერთ დროს, ამ ქართველსაც ის დღე დაადგეს რაც მისი სულის პატრონ ქართველებს ვერ ასცდენა!... ამით ჩვენ არ გვსურს, გავკადნებილეთ და მე 17 სუკუნის გმირის და თანამედროვე ქარ-თველს შორის ანალოგია გავატაროთ... ჩენენ ჩვენს დროს ესტრილით და ამით იმასაც ვაცხა-დებთ, რომ სააკაძის დროის ქართველების მხგა-ვს რწმენის ქართველებს დღესაც ბევრს ვხე-დავთ ჩვენში.

3. ქვარიანს მადლობით უნდა ჩამოერთვას მაგრამ ჩვენ, როგორც ამ წიგნის ვფიქრობდით წინდაწინეუ ხელის მომწერი, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს წიგნი იხალი ცნობებით, უფრო შეტაც

გადააჭირბებდა ბ. ფურცელაძის „დიდ-მოურა-  
ების“... გიორგი სააკაძე უფრო მეტ ცნ-  
ბებს მოითხოვს ქართველი ერი ისტორიკოსთა-  
ვან..., მაგრამ პირველ ნაბიჯად ესეც კმარა ამ  
ახლად ნიღაბ ახდილი გმირის შესახებ.

სორტელი სტუმარი.

თან ახლად ნიყიდი მომხიბლავი ლამაზი საკუ-  
ლოები, რომელნიც ნაზად უაღერსებდენ მაზ-  
რავეტს, უკავდენენ ჩინგურს, დამღეროდნენ  
სამო სიმღერებს და ცეკვავდნენ,—ის იმათ  
ყურადღებასაც არ იქცევდა, გაჯავრებით ხელს  
აუქნევდა ხოლმე, რომ თავიდან მოშორებოდ-  
დენ.

მთავარ მებალეს ტყულად მოჟქონდა მას-  
თან საუცხოვო ლამაზი და კეთილ სუნელო-  
ვანი ვარდები და კვავილები,—ცოტა ხანს უყუ-  
რადღებოდ ატრიალებდა იმათ ახენნორიბი  
ხელში, მერმე წიკნიდა და ყრიდა იმ ძვირფას  
ვარდებს ისე გულგრილიად, როგორც უბრალო  
მინდვრის კვავილებს.

მისი მახლობელნი თანაშემწენი ტყუ-  
ლად მოდიოდნენ და მოჟქონდათ მასთან სხვა-  
დასხვა სასარგებლო პლანები და ცდილობდნენ  
მის გართობას,—ახენნორიბი მათ მთქნარებით  
აძლევდა პასუხს და ეუბნებოდა, ისე ემოქმე-  
დათ, როგორც სურდათ...

მისი მეგბატები ტყუილად მართავდნენ  
ლხინს და სხვადასხვა ახალ-ახალი გასართობე-  
ბით, კეთილ სუნელოვან შუშხუნებით, იწვევ-  
დნენ მისდა გასართობად პოეტებს და მუსიკა-  
ტებს, ახენნორიბი ან უარს უთვლიდა მათ და  
არ მიდიოდა, ან თუ მივიღოდა, იჯდა გაშტე-  
რებული და ძვირფას საჭმელებს ხელსაც არ  
ახლებდა და იმათ შეკითხვაზე ძლიერ ახერხებ-  
და პასუხს...

ბოლოს, ახენნორიბის გამხარულების შე-  
სახებ ყველამ და კარგა იმედი და გადაწყვიტეს  
რა, რომ ის ბოროტ სულისაგან არის შეპყრო-  
ბილი, მოუწოდეს მის განსაკურნებლიდ ქურუ-  
მებს. ისინიც დიდის ამბით მოვიდნენ, დიდხანს  
ილოცეს, მაზრაპეტს გამოულოცეს, ეშმაკები  
შეჩერენეს, ორმუხზს (კურპთთაყვანისმცემლე-  
ბის ღმერთის სახელია) მწყობრი გალობით შეს-  
თხოვეს, შემწედობა აღმოჩინა „მწუხარე მომა-  
კვდავისთვის“— მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, მი-  
ზანს ვერ მიაღწიეს.

მაშინ მიიწვიეს თეით შესანიშნავნი და მე-  
ტად სწავლულნი მუტნალნი მოელი სპარსე-  
თისა. ისინი დინჯად სრულიად დამშეღებულ-

## მაზრაპეტის სნეულება.

აღმოსავლეთის თქმულება.

(რუსულიდან გადმოკეთებული).

I.

ერთხელ სპარსეთის მეფის კამბიზის საყვა-  
რელი მაზრაპეტი (ადგილის მთავარი) ახენნო-  
რიბი რაღაც გაუგებარ სნეულებით ავათ გახ-  
და. აუტანელმა და გამოურკვეველმა სევდამ  
შეიპყრო, რის გამო მას არ შეეძლო არც სმა-  
კამა და არც ძილი. ფერმიხდილი, გამხდარი  
მდუმარე დაეხეტებოდა ის თავის სასახლის ძეირ-  
ფისად მორთულ ოთახებში და თავის ბაღში,  
ხანდახან კი მოღლილ-მოქანული ჩამოჯდებო-  
და ხოლმე ყვავილების მახლობლად და მთელი  
საათობით ერთ წერტილს აშტერდებოდა.

ახენნორიბმა ყველა საქმეებს თავი მიანე-  
ბა, და მის შზრუნველობისადმი მინდობილი  
მხარე, რომელიც რაოდენიმდ წლის წინათ მის  
მძღვარ, მაგრამ გონიერ და სამართლიან გამ-  
გეობის გამო ყვაოდა, ახლა სრულიად გავე-  
რანდა.

შვევნიერი გზატკეცილები გაოხრდა, სარ-  
წყავე არხები მიწით და შლამით აივსო, ხაზი-  
ნას უშიშროდ კარცვა დაუწეუს, მივარდნილ  
იდგილებში მის კარგა მყოფობის დროს აღავ-  
მული ივაზაკები ხელისხმო გამშირდნენ და დაუ-  
წეუს კარცვა და კვლა მშვიდ ვაჭრებს და მგზავ-  
რებს; ჯარის კაცოთ შორის თავი იჩინა ლო-  
თობაშ და თავხედობაშ; ვაჭრობა და მრეწ-  
ველობა დაეცა, ხალხში დრტვინვა გაისმა.

ახენნორიბი კი ისევ გამოურკვეველ სევ-  
დას და გულის წესილს გრძნობდა.

შთავით საჭურისს ტყულად მოყვედა მას-

ნი შიღილდნენ ახენნორიბის სარდაფის საწოლ-  
თან, ლრმად დაკვირვებული სახით გადაიხრე-  
ბოდნენ მისკენ, შინჯავდნენ და ოფალიერებ-  
დენ მას, გამოუწერდნენ ხოლმე წამლებს და  
შორდებოდნენ. მაზრაპეტი ასრულებდა ყველა  
მათ დარიგებას, წამლებს იღებდა, მაგრამ ვერც  
იმათ უშველეს მას...

ექიმების შემდგომ გამოცხადდენ მესტრო-  
ლაბნი (მკითხავნი, რომელნიც ვარსკვლავების  
საშუალებით მკითხაობები) მაღალწერტიანი ქუ-  
დებით, რომელნიც ძველი წარწერებით აქრე-  
ლებულნი იყვნენ; იმათ შუბლზე ეტყობოდათ,  
რომ საიდუმლო ფიქრებით იყვნენ გამსჭვალულ-  
ნი. ისინი ოდგნდნენ ახენნორიბის სამისნო ბე-  
დისწერას, ე. ი. რომელ ვარსკვლავზე იყო ის  
დაბადებული, ბუნდოვან წინასწარმეტყველებას  
წამოიღაპარა კედლენ, რაღაცას ბუტბუტებდენ,  
რომ არა კეთილსამედო გავლენა აქვთ ცის  
მნათობებს მაგრა აპეტის ბეღისწერაზეო, იღებდ-  
ნენ ძვირფას სჩჩქრებს და მიღიოდნენ შინ,  
ავადმყოფს კი ვერაფერს შეელიდნენ.

II.

რაკი ეს გაიგეს, მაზრაპეტის სისახლეში  
დაიწყეს დენა სხვადასხვა მაჩვენელებმა, რომელ-  
თაც სწუუროდათ თავის გამოსჩენა და უცვი სა-  
ჩიქარის მიღება. რა-და-რა რჩევა არ მიიღო  
ერთგულმა ხაზინადობმა! ზოგი ურჩევდა ახენ-  
ნორიბს, ჩიგწყო ფეხები ახლიდ დაბარებულ  
ხბოს სისხლით სავს უქროს ტაშტუში; სხვები  
არწმუნებდნენ, რომ უნდა იძინებდეს ხაშაშის  
ფოთლებით ვარენილ ლოგინებ; ზოგნი ეუბ-  
ნიგოლუნენ, რომ უკერახე ურჯობებით, მზის

ამოსვლის დროს იბანოს ხელად მოწველილ  
რჩები; ვიღაცამ უჩჩია, მოუქსოვონ იყალ-  
მყოფს ქალწული ქალის თმისაგან ტანისამოსი  
და ჩაცვან; ბევრს მოჰქმნდა სხვადასხვა თი-  
ლისმები, რომელმან იყო ჩაღაც გაუგე-  
ბარი ნიშნები ამოქრილი და დაწვრილებით  
უმარტავდნენ, თუ ჩოგორ უნდა ატაროს  
ისინა.

კველა ეს რჩევა სინდისიერად მოყვაბათ  
სისრულეში, მაგრამ არავთარი სარგებლობა  
მათ არ მოჰქმნდათ. გაზრაპეტი დღიოთ-დღე  
თავს უფრო ცუდათ გრძნობდა, უიმედო ხევ-  
და და გულის წუხილი უფრო და უფრო ტან-  
ჯავდა მას. კველაფერი ეზიზლებოდა: საყვარე-  
ლი ცოლის ალექსი აბრამებდა; ბულბულის  
სამო გალობა ყვავის ჩხავილზე უარესათ ეჩვე-  
ნებოდა; საკუეთეს ხილი, რომელიც ახლად  
დაკრეიზილ ტოტებინად მიქნდათ მასთან, აბ-  
ზინდაზე უფრო მშარეთ ეჩვენებოდა; თვით  
მზის სინათლეც კი არ იყო მისთვის საამო.

ერთი და დარჩენლით — უნდა ელოდინებით, როდის გაქრებოდა ყველასაგან ღრმად პატივ-ცემული მაზრაპეტი. ხალხი შწუხარებას მიეკა და აღშფოთებით ფიქრობდა: როგორი იქმნება ანალი მარტველი? და ის ერთხელ, ცოტა-თი გათენების წინ, სასახლეში გამოცხადდა ღა-რიბად ჩაცმული, გრძელ ჭაღარა წვერებიანი, მაღლიანი პირის სახის მექანი მოხუცი. მოელ მის სამოსელს შეადგენდა უბრალო, მაგრამ წმინდა ტულოს ნაკრები, რომელნიც შამოხვე-ული ჰქონდა ტანხე; მარჯვენა ხელში ეჭირა ხის ჯოხი, ზურგზე უკადა ტყავის პატარა პარ-კი თასმებით მიმაგრებული, რომელიც წინ გულზე ჯარიადინად იყო გადახლართული.

— ჩემო მევობარო! უთხრა მან მევარეს,  
რომელსაც ეს ეს იყო გამოყლვინა და პირ-  
ველ ეზოში წყლის ამოხალებთან პირს იბა-  
და, — მოახსენე ჩემზე შენ ბატონს, მე მოვედი  
მის განსაუზნებლივ.

-- კიდევ არ მოგეხრდათ აქ თრე-  
ვა? — წამოიძურდლულა შეკარგ და აფელწუ-  
ნებით შეხედა ლორძი მოსულის ჩანართის. —

სულეროია მთატყუფილებ ჩვენ გბრძანებელს,  
დაუშატა, შეკარებ.

— მას მომავალი გვიჩენებს, — წყნარა  
უპასუხა მოხუცმა. — შენ ნაბრძანები გაქვს ყვე-  
ლა უნდა შეუშვა სასახლეში, ვინც კი გამოც-  
ხდლება დატანჯული შენი ბატონისოფის რეჟ-  
ის მისაცემად. მას დაემორჩილე და არა მე.  
წალი, ნულარ ივვიანებ, და მთასხენე ჩემი მო-  
სწოდა.

მოხუცის წყარო სიტყვებში ისეთი ძლიერ-  
ება გამოიხატებოდა, რომ მექარე უნებურად  
დაემორჩილო მას და მაშინვე წავიდა, რომ მო-  
ხუცის მოსვლა მთახსენოს სასახლის მცველთა  
უფროსს. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი შეიყვა-  
ნეს მაზრაპეტთან, რომელსაც, ჩვეულებისამებრ  
თვალი არ დაუხუჭავს და დაღვრებილი, რო-  
გორც შავი ღრუბელი, თავის ძირთას საწოლ-  
ზე იჯდა და გარშემო ეხვია დაღვრებილი მო-  
ნები.

მოხუცმა პატივის ცემით, მაგრამ თავისს  
ღირსების შეგნებით, ახენნორიბს თავი დაუკრა  
და მერქე უთხრა ბას:—ბატონო, ლილი ხანი  
არ არის, რაც თქვენი ავალმყოფობა გავიგე და  
გამოიგუშარე, რომ განვკურნო.

— მოხუცო! შენ ფიქრობ ჩემ განკურნებას, რაც ვერ შესძლეს ვერც ბრძნოთ, ვერც სწავლულ აქმთა, ვერც სხვთა ამ ქვეყნის მცხოვრნბთა? — ღიმილით შეეკითხა ეპიტ სახელი მაზრაპეტი.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ დღე-სვე სალომოს კარგიდ იქმნები და ღრმად — სი-კაბუკის ძილით დაიძინებ, მაგრამ იქ საჭიროა ერთი პირობა: მხის ჩასვლისძირი უსაცილოდ უნ-და დამეტორჩილო მე.

გაზრდებული ნელი ასწია. ზემოთ თავი და  
თავის ღიღისნის უძილოობით დამტკიცებული თვა-  
ლები, ოდესაც გამჭრიანი, როგორც ასწი-  
ვის თვალები, პირდაპირ მოხუცის სიცეს შიაშ-  
ტერია. მოხუცმა შეკუკრთომლიდ გაღიტიანა ეს  
თვალების დაშტერები. ერთი წერთ გვიდა-  
თ უკურად ავიდმყოფის მოღუშული სახე გა-  
მჩქინდა. ის მეტად განაცვითა ამ ყველასა-  
კინ უკრიბის, ნახევრად მოღუშული გლოხავს

სახიერებამ, მშვიდმა ნათელობისიგმა სისი კა-  
მომეტყველებამ, და იმ გარემოებამ, რომ ეს  
გლახავი მის წინ ისე იდგა, როგორც მისი თ-  
ნასწორი ადამიანი... რაღაც მხურვალე სხივებ-  
მა, რომელნიც მოხუცის თვალთაგინ გამოკრთო-  
და, განვლეს მის გულში, და მან, დაშვიდე-  
ბულმა და განმხნევებულმა, თითქმის ალერგიი  
უთხრა მას:

— კარგი, მე შენ გერწმუნები და აღვისრულებ უველავეტებს, რასაც შირჩევ. მაგრამ ეს კი მითხარი, ვინ ხარ შენ და შენ თავს რაო თვლი უბრძენეს ბრძენთა, რომელთაც ვერ შეძლეს ჩემი დახმარება?

— ჩემი სახელია, ტორიბალ, ვუხოვრობ  
მასლობლად მდებარე აღმოსავლეთის მხარეში.  
პატიარი სოფელში, და მე სრულიადც არ  
ესთვლი ჩემ თავს ბრძნად. წინააღმდეგ ამისა  
მეცნიერების მე არა გამეგდა რა და ვუხოვრობ  
მხოლოდ გულით. აი ამიტომ, ჩოცა გავიგე შე-  
ნი ავადყოფობა, ვიფიქრე: თუ შემძლებელ  
ახენნორიბს გონებით მდიდარნი კაცი აქმო-  
ბდნენ, და ვერავითარი შემწეობა ვერ აღმოუ-  
ჩინეს, მაშ, სჩანს, ისინი ცდებოდნენ, და სა-  
ჭიროა მისი განკურნება სიყვარულით და არა  
უძრავი ბრძნელი ხერხიანობით.

— მე ვერ გვიგე, რის თქმა გინდა, ტა-  
რიბოლ.

ბას და მუდამ იქმნება მომნიკებელი გამოულე-  
ველ სიცოცხლის ძალებისა...

— შენ იკვი ასეთი სასწაულომიქმედი ნუ-  
გვშესუმა, შენ, ღარიბ-ღატაქმა, რომელსაც  
ისეთი შეძლებაც არა გაქვს, რომ შენი სიშიშვ-  
ლე დაიფარო? მეტის-მეტი გაოცებით წამოიძა-  
ხა ახენნორიბმა.

— დააღ, მე, საბრალო გლოხაქმა, ვიცი  
ასეთი ნუგვშეს-ცემა, რომელთან შედარებით  
ჩენი მეფის და მბრძანებლის საარაყ მოლხენა  
მხოლოდ ნაცარ-მტვერია! წარმოსთქვა თვალებ  
გაბრწყინვებულმა მოსუცმა. — დამერწმუნე მე,  
— და საღმოს ამომავალი მოვარე მოგაშუქებს  
შენ, უკვე განკურნებულს და გამხნევებულს.

— კარგი, მოლი დღე დაგემორჩილები  
შენ, როგორც ჩემ მამას, მითხარი ახლა, რა უნ-  
და ვქმნა მე.

— იდექი, ჩაიცი სულ უბრალო ტანისა-  
მოსი და წამომყევი.

— როგორ შემიძლია წამოყოლა, როცა  
მთელი სხეული დაღუნებული მაქვს, ფე-  
ხები მიყანალობს, როგორც ასი წლის მო-  
ხუცს?

— სადღო გაქვს შენი მოუდრეველი ნება,  
რომლის წინაშე ათიათასობით კაცნი თრთიან,  
თუ შენ არ შეგძლია შენ თავს ძალა დაატა-  
ნო?

შრისხანე დიდი კაცი, მიჩვეული ქვეშევრ-  
დომთაგან პირფერობას და თაყვანისცემას, მე-  
ტად გაცვირვა უპოვარ შწყმისის გაძელულმა  
სიტყვებმა, რომელნიც წარმოთქმულ იყვნენ  
ბრძანების კოლოთი, ასე შეეძლო ელაბარაკა  
მასთან მხოლოდ დიდებულ კამბის. ზაგრამ  
ის არ გვჯვრდა, მორჩილებით აღდა ლოგინიდ-  
გან, მას იკავებდნენ გაშტერებული მონები.  
სისუსტის გამო მას თავბრუ დაესხა და ის იძუ-  
ლებული შეგქმნა ჩამომჯდორიყო იქვე საწო-  
ლის მახლობლიდ მდგმ მოჩუქრობებულ სპი-  
ლოს ძელის სავირძელში.

— მოართვით მბრძანებელს მავარი ლე-  
ნო, პური და ხორცი, რომ მოლონიერდეს, —  
განკურგულება მისურ ტორიბალმა მოხიმსახუ-  
რებებს.

იმათ საჩქაროდ აღისრულეს მისი ბრძანე-  
ბა, მაზრაპეტმა ძალით ჭამა საჭმელი, ლვინო  
დალია და იგრძნო, რომ ჯანზე უკეთ შეიქ-  
ნა—მოლონიერდა, ჩაიცი მან უბრალო ხელო-  
სნის ტანისმოსი, რომელიც მოართვეს მს, და  
მოხუცის ხელზე დაყრდნობილი სასახლიდან  
გამოვიდა. მოსუცმა, რომელიც აღერსით, თით-  
ქო თავის ავადმყოფი შეიღიათ, იკვებდა მას,  
გაიარა შიგნითი ეზო, და გამოვიდა მაზრაპეტ-  
თან ერთად ქალაქში.

აქემიანდრიტი ნესტორ.

შემდეგი იქნება.

## ფქავ-ხევსურეთის

## სალოცავები

და ცოტა რამ მათ და მათი მლოცველების  
შესახებ.

1911 წელს ფურნალ „შინაური საქმეების“ №№ 8, 9, და 10 დაწერილი გვერდა: „ფშავ-  
ხევსურეთის სალოცავები და ცოტა რამ მათ და  
მათი მლოცვების შესახებ,“ — ნაამბობი პატივ-  
ცემული გოორგი ღალაშეილისგან. ბ-ნი გიორ-  
გი დამპირდა: „შემდეგშიაც გიამბობ მთის  
ამბებსათ“. ვარგებლობ გიორგის დაპირებით  
და მეც ცოტაოდენ რამეს კიდევ გაუზიარებ  
ბა-ნთ „შინაური საქმეების“ მკითხველთ.

როგორც მკითხველთ ეხსომებათ, თავი-და  
თავი დეკანოზი დარჩია. ქერჩი კი უფრო ამ  
დროის კაცია. საჭიროა მიგვაჩნია დარჩია  
დაახლოებით გვაუნოთ. დარჩია არის ასე  
შუახნის კაცი; შეტყველი, წმოსადევე, რიხია-  
ნი ხმით მოლაპარაკე და სხვა. ამ დარჩიას ხელ-  
ში ტრიალებს დღეს თამარ შეფის სამლოცვე-  
ლოს დიდიალი შემოსავალ-გასავალი. უთვა-  
ლევი შესაწირი შედის მლოცვეთაგან თამარ  
შეფის სამლოცველოში. წინათაც უოფილან აქ  
დარჩიას მსგავსი დეკანოზები და ხევისმერები,  
მაგალითებრ: მამუკელი, ვაჟიან, ვალიდა,  
პეტინიან, პანკურაი, მაწარაი, ქავთარი და

სხვა. ხევისბერ დეკანოზობის ხარისხის მსურველნი რასაკეირველია ბევრი არიან, მაგრამ თუ მემკვიდრე დარჩა დეკანოზის, უსათუოთ შემცვიდრეს რჩება მისი ადგილი. ხატი ბძანებს მკაფხვის პირით, ეს და ეს უნდა იყოს დეკანოზათაო და საქმე სისრულეში მოდის. იმათ ეგზამენტი და დამტკიცება სრულებითაც არა სკორდებათ. ახლად გამწერებულ დეკანოზ-ხევის ბერს ვერცხლის ჯვარი ვერცხლისვე ძეწკვით ყელზედ ჭირია. ეს იმის ნიშანია, რომ ნაცნობმა და უცნობმა, ყველამ, უნდა გაივის რომ ის დეკანოზია, მათი ხატის მსახურია. ხალხი ამბობს: „ამან (დეკანოზმა) უნდა გვიღილოს ხატი, ამან უნდა დაგვლოცოს-დაგვამწყალობნოს, საკლავებიც ამან უნდა დაგვიხოცოს, სანთლებიც დაგვინთოს და ხატს წყალობა გვითხოვოს, რომ შაიწიროს ჩვენი მირთმეული ძლვებ-ულუფა, კეთილი თვალით დაგვინახოს, მოსული დაგვახველროს და წავალოთ თან გაგვატანოს თავის წყალობა; გვიშველოს, — გვიმეტველოს, მისცეს ბარაქა ჩვენ ნახნავ ნათესს, ჩვენ წველა დღვების, ჩვენ ცხოვარდროს და ცხენებს; გაგვიმრავლოს ყველა, დაგვიფაროს ცით მეხისავნ, მწარე სიკვლილისაგან, რომ კვლავაც კეთილის გულით ვემსახუროთ ამათ მაღლის და სახელს. იმ ებლაც ჭირი მოვსევმე ამათ საათდავლითა, გაუმარჯოს ჩვენს ხელმწიფე თამარს მეფეს და ლაშარის ჯვარს; ესევმი ერთ დროს ხელმწიფებათ ყოფილან, ძალიანაც ულაშქრებით, ჩვენდაც დიდი მფარველები ყოფილან; დახოცილიან და იმ ებლა იმათ სახელსა ვლოცულობთ და ვეხვეწებით და იმათის წყალობით ვეხოვრობთო“. როგორც ზევით ვსთქვით, ახლად გამწერებულ ხევისბერ-დეკანოზს ყელზედ ჭირია მოზღვილი ვერცხლის ჯვარი ვერცხლისვე ძეწკვით. ის აღიარ ეკრება ხალხს ახლო, ერთ დროს მეფე და დარჩია თამარ მეფის დღეობაში ერთათ ვიყავით და ჩვენთვის ვსაუბრობდით. მე მოვინდომე დარჩიას გამოტეხა და მისი სიიღულოების შეტყობა, მაგრამ, როგორც შევნიშნე, შემიტყო ძრიელ მიურთხილდებოდა, მაგრამ ცოტა რამ მინიც მიამბო. კაცი! იმ რა არის, დაიწყო დარჩია: „მე განა მართლა თავზედ ხელიღებული ხომ არა ვარ და არა მესმის რა, მაგრამ,— საქმე იმაშია რომა, თუ ჩვენ (დეკანოზ-ხევისბერები) ვატუსებთ და ვაბრმავებთ ხალხსა, ამა ახლა ზოგ-ზოგ სხვადასხვა მოხელეებსაც მოვხედოთ, რასა სჩადიან და როგორ ექცევიან სახელის ბერების შესახვაში. აქ დაცკლამ სამივე ცხვარს და

მათგან თითო კოვჭ სისხლს იღებს, ჩასხის ჭურჭელში და საჩერებელი მარჯვენა თითო სისხლს იცხებს ჯვარის სახელ: ჯრ შუბლზე, მერე გულზე, მერე თრივე ხელის ზურგზედ, და შემდეგ წმინდა და დაუბრკოლებლივ შედის წმინდა ადგილს, სახევისბეროში, სადაც აქმდინ შესვლის ნება არა ჰქონდა. ამის შემდეგ ეს ხევის ბერი ხშირად აღარ დაიბრება სოფლის შუა, და მომეტებულით ბოსლების\*) ახლომ-მახლო, სადაც დედაკაცები დაიარებიან. ახალ დეკანოზს ახლა თავის სახლშიც მომეტებული სიწმინდე და მორიცება მართებს. რიგში (თვიურში) მყოფ ქალებს ან დედაკაცებს, თავის კარებზედ არ გაატარებს. დედაკაცები რიგის დროს საქალებო სახლში ვერ შევლენ. ისინი ერთი კვირის განმავლობაში სახლზედ მოშორებით პატარა ქოხში იმყოფებიან. ერთი კვირის შემდეგ, სანამ წყლით არ გაიბან-გასუფთავდებიან, მანამ ხევისბერის საღვანი სახლში ვერ შედიან. თვით ხევისბერი არა სკამს, ვიოომდა უწმინდურ საქმელებს, ე. ი. ქათამს, კვერცხს, და ლორის ხორცას, რადგანაც მათი აზრით ეს საკმელები ძრიელ სხულან ხატსა. ავრეთვე, ხევის ბერ-დეკანოზს თავის ცოლთანაც იშვიათათლი აქვს კავშირი. დაუბრუნდეთ ისევ და ახლა გიამბობ დეკანოზ დარჩიას ზოგიერთ ნაამბობსო, კადევ დაიწყო გიორგიმ. ერთ დროს მე და დარჩია თამარ მეფის დღეობაში ერთათ ვიყავით და ჩვენთვის ვსაუბრობდით. მე მოვინდომე დარჩიას გამოტეხა და მისი სიიღულოების შეტყობა, მაგრამ, როგორც შევნიშნე, შემიტყო ძრიელ მიურთხილდებოდა, მაგრამ ცოტა რამ მინიც მიამბო. კაცი! იმ რა არის, დაიწყო დარჩია: „მე განა მართლა თავზედ ხელიღებული ხომ არა ვარ და არა მესმის რა, მაგრამ,— საქმე იმაშია რომა, თუ ჩვენ (დეკანოზ-ხევისბერები) ვატუსებთ და ვაბრმავებთ ხალხსა, ამა ახლა ზოგ-ზოგ სხვადასხვა მოხელეებსაც მოვხედოთ, რასა სჩადიან და როგორ ექცევიან სახელის ბერების შესახვაში. სადაც რედაკტორი მყოფი დედაკაცები სტაციონად გამარტინებული გადარიცებული.

\*) ბოსლები ჰქონიან იმ ქახებს, სადაც რედაკტორი მყოფი დედაკაცები სტაციონად გამარტინებული გადარიცებული.

ხალხს? ეს ქვეყანა, და ქვეყნის წესი და ჩვეულება ასეა და აბა ჩვენ რაღა ვქნოთ? მეც ვოკი ნანდვილათ, რომ მეტრო და ხატი კაცს მიზეზს არ მისცემს, მოდი და საკლავი და სხვა რამ შამომწირეო, მაგრამ ნამდვილი წეს-რიგი ერთანდელ დროში სანთლით საძენელილა გახდა... და მე რაღა ვარ, რომ მეუბნები ხალხს ატყუებო? — თუ ერთი მე ვატყუებ თთასი სხვაც ატყუებს და, გაახილოს ხალხმაც თვალი, რომ აღარავინ მთატყუოს. ძალიან კარგი, ვთქვათ, მე, თუგინდ, დავანებებ თავს დეკანოზობას, მე სხვაგვარადაც ვიშვინი ლუქმა-პურს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გაიგებენ თუ არა მე სამსახურს თავი დევანებებ, ერთი ჩემშედ უხეირო ვინმე გაიქცევა და ახლა ის აბანებიებს ხატსა, ჩემს ალაგს დაიკერს, და ჩემი ლუქმა იმან უნდა კამის და მე შორიდან უკირო. ვითომდა რათომ, გიყი ხომ არა მჭირს თავში? აწი მე ვიყო და მე ვსჭამო მზა-მზარეული ტკბილი ლუქმა, სანამ ცუცხალი ვარ და არა სხვამ ჩემშედ ლანარმათ?!! დაასრულა დარჩიამ თავისი საუბარი...

მართლაც და დარჩია ბევრში არა ტყუოდა: როგორ მე მოვიგონე ჩემი მამასახლისათ კუთხის დრო და ხალხის მართვა-გამგეობა, ასეთი ტკბილია ხალხის მოტანილი მზა-მზარეული პურ-ლენო და ზედ ცხელი მწვადები, რომა როგორც თავლი და შექარი, და აბა რაღის კიტყოდი როგორ ჯეროვანი ვასუხი მომას ჩევნმა ნაცნობმა დარჩიამთ, სოჭვა გორგიმ...

მღვდელი ნ. ბაკურაძე.

(შემდეგი იქნება).

### გადასახის გამოცხადება.

მათამ რედაკტორ!

უმორჩილესად გოხოვთ თქვენი გაზეთის „შინაური საქმეები“-ს საშეილებით ულრჩესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც პირადიდ ჩემგნით, ისე სოფ. კორპორაციის დვითისმშობ-

ლის ეკლესიის მრევლის მხრით, რომელთაც კეთილ ინგებს და ზემოხსენებულ ეკლესიის შემოსწირეს შემდეგი ნივთები: ღომენტი იღუების და მაკარაშვილმა სერიების წინ დასაკადებელი კანდელი, ღირებული 16 მანეთად და ტრაბეზედ დასადგმელი სამღეროვანი შანდალი, ღირებული 4 მანეთად; ოქროპირ სოლომონისძე კაპანაძემ — შუა ეკლესიაში დასაკადებელი კანდი, ღირებული 20 მან. ილია ილარიონისძე კიქნაძემ — ერთი წყვილი ჯვარის საწერი გვირვანები, ღირებული 8 მანეთად; თედოსია ბესარიონის ასულმა მღვდლის მაკარაშვილის მეუღლემ — აღსავლის კარების კრეტისაბმელი, ღირებული — 5 მანეთად; მღვდელმა სპირიდონ აბულაძემ სამღეროვანი შანდალი, ღირებული სამ მანეთად; ისონ დიმიტრისძე კაპანაძემ — ხატის წინ დასაკადებელი პატარი კანდელი, ღირებული 3 მანეთად. გვაქს იმედი, რომ ზემორე დასახელებულ პირთ აღმოუჩნდებიან წინაძებელები, რისთვისაც მათ დიდი მადლობა გამოეცხადებათ გაზეთის საშუალებით.

მღვდ. ვლადიმერ მაკარაშვილი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ გვადლიც.  
გამომცემელი იოსებ ლევაზა.

### განცხადება

(მმობის სტამბაში)

დაიბეჭდა მეცნიერის ამოწერილობის ბლანკები.

იყიდება იქვე.

\*\*\*\*\*  
\*\*\*\*\* სტამბა - „მმობა“ \*\*\*\*\*  
\*\*\*\*\*

კაზაკევის ქუჩა, № 17,  
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს  
ასრულებს დროზე და სუფთათ.

ფასიან დაქდებულია.

ქ. ქუთაისში, სტამბა „მმობა“ კაზაკევის შესახვევში სახლი № 17.